



**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA**



KA060198099079016

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გუბუაძის ქ. №6 ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727267, www.moe.gov.ge
6 G. Gubua Str, 0114, Tbilisi, Georgia, Tel: (995 32) 2727200, 2727220, Fax: 2727267, www.moe.gov.ge

5828

22 / ივლისი / 2016 წ.

მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციულ
დირექტორს ქალბატონ ხინო გუგარაიძეს

გლბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 11 ივლისს შექმნილი #14666 წერილის პასუხად გაცნობებთ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოწოდებულ ინფორმაციას კერძოდ:

როგორც თქვენთვის ცნობილია სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, ზოლო წლების განმავლობაში განხორციელდა არაერთი ინსტიტუციური ცვლილება, რამაც განაპირობა სხვადასხვა საკითხისადმი არასისტემური დამოკიდებულება. უკმაოდ მსხვილი ფუნქციის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დარღვევების შემდგომ, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სარგებლობის ლიცენზიების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების დასანერგად, რომელიც უზრუნველყოფს მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 5¹ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან, სრულყოფილი პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების დანერგვამდე, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის, მათში ცვლილების შეტანის ან მოქმედი ლიცენზიების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებების საკანონმდებლო მაცნეს ექვ-გაყრდნე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე საკითხი ტექნიკური დამუშავებისა და მოლაპარაკებების პროცესშია და დასრულდება უახლოეს მომავალში.

აქვე განვმარტავთ, რომ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ლიცენზიის გაცემის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები (აუქციონის გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული აქტები) ქვეყნდება ელექტრონულად www.eauction.ge და ასევე ყოველწლიურულ გაზეთში "ახალი თბილისი". შესაბამისად, ინფორმაცია ლიცენზიის სახის, მოქმედების ვადის, მოსაპოვებელი რესურსის შესახებ ხელმისაწვდომია მითითებულ საინფორმაციო საშუალებებში.

დამატებით გაცნობებთ, რომ სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზირების პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და სააგენტო უზრუნველყოფს მის შეუფერხებელ გაცენას მითხოვნის შემთხვევაში.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი)

ვატერინე ბენდელიანი